

# საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია



ციფრული მენეჯმენტი

Covid 19 პანდემიისა და პოსტ-პანდემიურ პირობებში



12 ნოემბერი, 2021



Microsoft Teams

## მოგესალმებით!

2021 წლის 12 ნოემბერს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო) ფრესენიუსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან (Hochschule Fresenius University of Applied Sciences, კიოლნი, გერმანია) პარტნიორობით მართავს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას.

კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის ხელმძღვანელი:

- პროფესორი, დოქტორი რიჩარდ გეიბელი, ფრესენიუსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი;
- პროფესორი, დოქტორი შალვა მაჭავარიანი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.

კონფერენციის მიზანი	Covid 19 პანდემიისა და პოსტ-პანდემიური ვითარების შეფასება და შესაძლებლობების გამოვლენა ციფრული მენეჯმენტისთვის
კონფერენცია ფარავს შემდეგ საკითხებს	გაციფრება, ციფრული გარდასახვა, ელექტრონული კომერცია, ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა დიდი მასივი (Big Data), ბლოკჩეინი, ონლაინ მარკეტინგი, ციფრული სამართალი, ციფრული სოციალური ინოვაცია, ციფრული ეთიკა და სხვა.
ვის შეუძლია კონფერენციაში მონაწილეობის მიღება?	დოქტორანტურის სტუდენტებს, პოსტ-დოქტორანტებს, მკვლევარებსა და დარგის სპეციალისტებს კონფერენციის ორგანიზატორი უნივერსიტეტებიდან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.
საკონფერენციო ნაშრომების გამოცემა	კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები შეირჩევა სარედაქციო საბჭოს მიერ ნაშრომის სიახლისა და სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით და გამოქვეყნდება საკონფერენციო კრებულში.
სამეცნიერო ნაშრომის გამოცემისა და კონფერენციაში მონაწილეობის საფასური	დაიფარება ორგანიზატორების მიერ
სამუშაო ენა	ინგლისური
რეგლამენტი	მოხსენება – 20 წთ; კითხვა – პასუხი – 10 წთ.
მონაწილეობის პირობები და მნიშვნელოვანი თარიღები	<p><b>კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ განაცხადის (Application form) და ანოტაციის (A4 ფორმატი, არაუმეტეს 300 სიტყვისა) წარმოდგენა;</li> <li>➢ სამეცნიერო-პრაქტიკული საკონფერენციო ნაშრომის (Conference paper) წარმოდგენა.</li> </ul> <p><b>მნიშვნელოვანი თარიღები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ განაცხადისა და ანოტაციის წარმოდგენის ბოლო ვადა <b>1 ივნისი, 2021</b></li> <li>✓ შერჩეული ავტორების შეტყობინება <b>20 ივნისი, 2021</b></li> <li>✓ სამეცნიერო-პრაქტიკული საკონფერენციო ნაშრომის წარმოდგენის ბოლო ვადა <b>10 სექტემბერი, 2021</b></li> </ul>

	<p>მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა შესრულდეს ინგლისურ ენაზე და გაიგზავნოს განსაზღვრული ვადების დაცვით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <a href="mailto:sciencepapers@eeu.edu.ge">sciencepapers@eeu.edu.ge</a> (სათაურის ველში კონფერენციის დასახელებით).</p>	
<p><b>კონფერენციის კოორდინატორები</b></p>	<p><b>რობინ კრახტი,</b>  დოქტორანტობის კანდიდატი, ლექტორი, ელექტრონული კომერციის ინსტიტუტი, კიოლნი, ფრესენიუსის უნივერსიტეტი</p> <p><b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>  მობ.: +49.176.3232.5943  ელ-ფოსტა: <a href="mailto:kracht@ecommerceinstitut.de">kracht@ecommerceinstitut.de</a></p>	<p><b>თათია ღერკენაშვილი,</b>  დოქტორანტობის კანდიდატი, უფროსი სპეციალისტი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი</p> <p><b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>  მობ.:+995 (598) 10 57 29  ელ-ფოსტა: <a href="mailto:t.gherkenashvili@eeu.edu.ge">t.gherkenashvili@eeu.edu.ge</a></p>

---

### *ზოგადი მოთხოვნები ანოტაციის შესასრულებლად*

---

- ანოტაცია უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე;
- უნდა შესრულდეს - A4 ფორმატის ფურცელზე Times New Roman - ფონტით;
- სამეცნიერო ნაშრომის სათაური - ცენტრში, ფონტის ზომა - 12; სიტყვა "ანოტაცია" ცენტრში, გამუქებული (bold), ფონტის ზომა - 12;
- ავტორის სახელი და გვარი - ცენტრში, გამუქებული (bold) ფონტი - Times New Roman ფონტის ზომა - 11;
- სამეცნიერო წოდება და ხარისხი, ცენტრში, ფონტის ზომა - 11;
- ინსტიტუციის დასახელება - დახრილი ასოებით, ცენტრში, ფონტის ზომა - 11;
- პწკარებს შორის ინტერვალი - 1.5;
- ველები ოთხივე მხარეს - 2.54;
- ანოტაციის პირველი სტრიქონი არ უნდა იყოს აბზაცით, მაშინ როცა საკვანძო სიტყვები (მაქსიმუმ 5 სიტყვა), რომელიც მოსდევს ძირითად ანოტაციის ტექსტს აუცილებლად აბზაცით უნდა დაიწეროს, დახრილი ასოებით;
- ანოტაციის მოცულობა უნდა იყოს მაქსიმუმ 300 სიტყვისა ერთ პარაგრაფად დაწერილი.



---

## ანოტაციის შემადგენლები

---

### **პრობლემის არსი:**

მკითხველისთვის საკითხის გაცნობა, აღნიშნულ თემაზე ჩატარებული კვლევების ანალიზი/მიმოხილვა და საკუთარი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. ამ თავში განხილული უნდა იყოს თუ რატომაა მკითხველისთვის ნაშრომი მნიშვნელოვანი.

### **მეთოდოლოგია:**

კვლევაში ჩართული პირები/მონაწილეები - რა რაოდენობამ მიიღო კვლევაში მონაწილეობა, ვინ იყო სამიზნე ჯგუფი, როგორ შეირჩნენ ისინი და რა ფაქტორები განასხვავებენ მათ საზოგადოების ნაწილისგან;

მასალები - საზომი ერთეულები, აღჭურვილობა, რაც გამოყენებული იყო კვლევის განხორციელებისას. მათში შეიძლება შედიოდეს საცდელი ინსტრუმენტები, ტექნიკური აღჭურვილობა, წიგნები, ნახატები ასევე ფსიქოლოგიური შეფასების ინსტრუმენტი და ა.შ;

დიზაინი - ექსპერიმენტში გამოყენებული დიზაინის სახეობა, ცვლადები და მათი დონეები, უნდა დაკონკრეტდეს დამოუკიდებელი, დამოკიდებული და მაკონტროლებელი და სხვა გარე ცვლადები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კვლევის შედეგებზე;

პროცედურა - რა გააკეთეს კვლევაში ჩართულმა მონაწილეებმა, როგორ შეგროვდა მონაცემები, ასევე საჭიროა განხორციელებული ეტაპების თანმიმდევრული აღწერა.

### **შედეგები:**

მტკიცებულებების გამყარება, კვლევის პროცესში გამოვლენილ შედეგებთან დაკავშირებით სწორი ხედვის ფორმირება, თუ ავტორის მიერ კვლევის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა მეტ სტატისტიკურ მონაცემებს საჭიროებდა, არ უნდა იქნას არსებული მიგნებები უგულებელყოფილი, პირიქით, უნდა განმტკიცდეს ავტორის მიერ წარმოდგენილი პროგნოზები.

### **დასკვნა:**

რაზე მიაწინებენ კვლევის შედეგები და რაზე მიუთითებს იგი სამომავლო პერსპექტივაში.

## **Varying Definitions of Online Communication and Their Effects on Relationship Research**

**Elizabeth L. Angeli**

Professor, Doctor of Science  
*University of Oklahoma*

### **Abstract**

This paper explores four published articles that report on results from research conducted on online (Internet) and offline (non-Internet) relationships and their relationship to computer-mediated communication (CMC). The articles, however, vary in their definitions and uses of CMC. Butler and Kraut (2002) suggest that face-to-face (FtF) interactions are more effective than CMC, defined and used as “email,” in creating feelings of closeness or intimacy. Other articles define CMC differently and, therefore, offer different results. This paper examines Cummings, Butler, and Kraut’s (2002) research in relation to three other research articles to suggest that all forms of CMC should be studied in order to fully understand how CMC influences online and offline relationships.

**Keywords:** *Computer-mediated communication, Face-to-face communication*

## სამეცნიერო ნაშრომის ზოგადი ფორმატირების წესი

### ძირითადი ნაწილი

- ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის ფურცელზე.
- ნაშრომის სრული სათაური, ავტორის სახელი, გვარი (იწერება გამუქებული ასოებით), სამეცნიერო წოდება, ხარისხი და უნივერსიტეტის დასახელება (იწერება დახრილი ასოებით) უნდა განთავსდეს ცენტრში გვერდის დასაწყისში. სათაური არ უნდა იყოს გამუქებული (bold), დახრილი, ხაზგასმული, ან პუნქტუაციის ნიშნებით დაწერილი. შრიფტის ზომა - 12;
- სამეცნიერო ნაშრომის მოცულობა - გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით (ანოტაციის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს. ფონტი - Times New Roman, შრიფტის ზომა - 11, პწკარებს შორის ინტერვალი - 1,5;
- ველის ზომა 1 ინჩი (2.54 სმ.) ოთხივე მხარეს.
- თითოეული აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა შეიწიოს 5-7 პოზიციით;
- სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ქვედა ნაწილში, არაბული ციფრების ნუმერაციით, შრიფტის ზომა - 10; პწკარებს შორის ინტერვალი - 1.0;
- ქვეთავების სათაურები იწერება ცალკე, ტექსტიდან გამოყოფილ სტრიქონზე.
- სერიაციათა ნუსხა:
  - ცალკეული პარაგრაფები, ან გრძელი წინადადებები (პროცედურათა ეტაპები) უნდა დაინომროს.
  - პარაგრაფებში მოცემული მოკლე სიტყვები უნდა დაინომროს ფრჩხილებში შემდეგნაირად: (ა) სიტყვა, (ბ) სიტყვა, და (გ) სიტყვა.
  - ბულეტებად სიტყვათა ნუმერაცია დასაშვებია, თუმცა უმჯობესია ციფრობრივი, ან ასოთა ნუმერაცია.
- საილუსტრაციო მასალა (ცხრილები, დიაგრამები, დანართები) უნდა მიეთითოს ტექსტში თანმიმდევრულად, მაგ. ცხრილი 1; ცხრილი 2; ან დიაგრამა 1, დიაგრამა 2, ან დანართი ა, დანართი ბ და ა.შ.
  - ცხრილები - სათაური ცხრილის თავზეა წარმოდგენილი;
  - დიაგრამები - სათაური დიაგრამის ქვევითაა წარმოდგენილი;
  - დანართები - უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე ნაშრომის ბოლოს გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ.

### გამოყენებული ლიტერატურა

- გამოყენებული ლიტერატურა უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე, ცენტრში, გამუქებული, შრიფტის ზომა - 12. გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებული ნებისმიერი წყარო უნდა იქნას ციტირებული ნაშრომის ძირითად ნაწილში;
- გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიეთითოს ანბანის მიმდევრობით;
- ტექსტის ინგლისურ ენაზე აკრეფისას სიტყვა გამოყენებული ლიტერატურა უნდა დაიწეროს გვერდის დასაწყისში, ცენტრში, დიდი და პატარა ასოებით, კერძოდ - “References”, შრიფტის ზომა - 12;
- ბმულები (hyperlinks) უნდა მიეთითოს ქვევით ხაზ გასმით;
- ბმულის ბოლოს დაუშვებელია პუნქტუაციის ნიშნის დასმა.

## სამეცნიერო ნაშრომის ნიმუში

ონლაინ კომუნიკაციის განსაზღვრებათა ნაირსახეობები და მათი გავლენა საურთიერთობო ფორმათა კვლევაზე

ელიზაბეტ ლ. ანგელი

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი  
ოკლაჰომას უნივერსიტეტი

შესავალი (პრობლემის არსი, თემის აქტუალურობა და ძირითადი ცნებების განმარტებანი;  
ძირითადი ნაწილი (ჩატარებული კვლევა);  
დასკვნა (მიღებული შედეგები და რეკომენდაციები);  
გამოყენებული ლიტერატურა (კვლევისას გამოყენებული წყაროები):

### მაგალითები

#### I. წიგნი

##### 1. ბეჭდური წიგნი

Anderson, D. (2001). Beyond change management: Advanced strategies for today 's transformational leaders. San Francisco, CA: Jossey-Bass/Pfeiffer.

##### 2. ელექტრონული წიგნი

Penny, J. (2010). Outliers: The story of success [Review of the book Outliers, by M. Gladwell]. Personnel Psychology, 63(1), 258-260. Retrieved from <http://www.personnelpsychology.com>

#### II. სტატია

##### 1. სტატია ბეჭდური კრებულიდან

Goodman, M. (1955). Organizational inertia or corporate change momentum. In D. P. Cushman & S. Sanderson (Eds.), Communicating organizational change: A management perspective (pp. 95-112). Albany, NY: New York Press.

##### 2. სტატია ელექტრონული კრებულიდან

Fletcher, S. N. E. (2015). Cultural sensibility in healthcare. Indianapolis, IN: Sigma Theta Tau. Retrieved from <http://www.proquest.com/products-services/ebooks/ebooks-main.html>

##### 3. სტატია ჟურნალიდან

Dunlap, K. (2017, August 14). Love for antique tractors crosses family's generations. Indianapolis Star, p. 8A.

##### 4. სტატია ონლაინ გაზეთიდან

Kang, C. (2010, February 10). Google to launch turbo-speed Internet trials. The Washington Post. Retrieved from <http://www.washingtonpost.com>



### 5. სტატია გაზეთიდან

Damiano, P. (2010, December/January). Incredible India. Working Mother, 33 (1), 50–52.

### 6. ჟურნალი/პერიოდული სტატია

Holmes, O., IV. (2010). Redefining the way we look at diversity: A review of recent diversity and inclusion findings in organizational research. *Equity, Diversity, and Inclusion: An International Journal*, 29(1), 131–135. doi:10.1108/02610151019255

### 7. ბეჭდური სტატია

Kiran, K. (in press). Service quality and customer satisfaction: Perspectives from academics. *Library Review*. Retrieved from <http://www.emeraldinsight.com>

### 8. საინფორმაციო სტატია, ავტორის გარეშე

Learning to write using APA writing style.(2009, October).APA Writing Newsletter. Retrieved from <http://www.indwes.edu/ocls/APA/newsletter.pdf>

## III. ბროშურა

American Heart Association. (n.d.).Heart disease [Brochure]. Dallas, TX: Author. DiSC classic: Personal profile system 2800 [Brochure]. (2001). Minneapolis, MN: Inscape Publishing.

## IV. დისერტაცია

Mayhew, J. A. (2008). Adult learners ' perceptions of their employers ' leadership behaviors and their own readiness for self-directed learning (Doctoral dissertation). Retrieved from Pro Quest Dissertations& Theses Global database. (UMI No. 3344706)

## V. ტექნიკური ანგარიშები, კვლევითი ანგარიშები, არა საგაზეთო სტატია

Lund, P. (2004, December 28). Technical report on management and ICT practices in PV buildings (NNE5/2001/264D14.2). Retrieved from <http://www.pvnord.org/meny/pdf/Task%204.2%20Management%20and%20ICT%20Final%20report.pdf>

## VI. ვებგვერდები

Reh, F. J. (2016, July 20). Level 3 management skills. Retrieved October 13, 2017, from <https://www.thebalance.com/level-3-management-skills-2275892> Note: a retrieval date was used for this one because this author notes that the creator of the web page changes articles but retains one access URL.

## VII. საკანონმდებლო აქტები, პარლამენტის საკანონმდებლო აქტები და რეგულაციები

Protection and Affordable Care Act; HHS Notice of Benefit and Payment Parameters for 2012, 78 Fed. Reg. 15410 (March 11, 2013) (to be codified at 45 C.F.R. pts. 153, 155,156,157,& 158).

## წყაროთა შიდა ტექსტური მითითება

- ციტირება - საწყისი წყაროდან ინფორმაციის პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით გადმოტანა

### მაგალითები

- o ერთი ავტორი
  - (Jones, 2010, p. 456).
  - Jones (2010) noted “...” (p. 456).
- o ორი ავტორი
  - (Smith & Jones, 2009, para. 7).
  - Smith and Jones, (2009) acknowledged “...” (para.7).
- o სამიდან ხუთ ავტორამდე
  - (Smith, Jones, & Brown, 2009, Section Company History), for the first time, the source is cited. After that, for that source, use (Smith et al., 2009, section Company History).
  - Smith, Jones, and Brown (2009) maintained”...” (p. 16). The next time that source is used it would be, Smith et al. (2009) writes “...”(p. 16).
- o ექვსი ან მეტი ავტორი
  - Logan, L., Harley, W. B., Pastor, J., Wing, L. S., Glasman, N., Hanson, L., . . . Hegedahl, P. (1996). Observations on the state of empowerment in today’s organization. Empowerment in Organizations, 4(1), 6–11. <https://doi.org/10.1108/09684899610111025>
- o ავტორის გარეშე
  - („Emergency“, 1998).
- o კორპორაციული ავტორი
  - (Lawrence North High School, 2000, p. 5).

## შიდა ტექსტური მითითების ნიმუში

**Reference list entry:** Alexander, P. A. (2018). Past as prologue: Educational psychology's legacy and progeny. *Journal of Educational Psychology*, 110(2), 147–162. <https://doi.org/10.1037/edu0000200>

**Paranthetical citation:** (Alexander, 2018)

**Narrative citation:** Alexander (2018)

Note. The four elements of a reference list entry include the author (in purple), the date (in blue), the title (in yellow), and the source (in green). The in-text citations that correspond to this reference include the last name of the author and year of publication, which match the information in the reference list entry.


## ცხრილის და დიაგრამის ნიმუში

ცხრილი 1

### სადაზღვევო კომპანიების მიერ ზაზრის ათვისება

№	სადაზღვევო კომპანიები	მოძიებული ჯამური პრემია (ლარი)	ზაზრის ათვისების მაჩვენებელი (%)
1.	„ალდაგი“	8,391,117	33.2
2.	„იმედი“	5,835,028	23.1

დიაგრამა 1



გისურვებთ წარმატებას!